სეიდ მოჰამად რეზა თაბათაბაი თაბრიზი, „პილიგრიმთა საჩუქარი“ (1879)

Hedāyat al-Hojjāj, Safar-nāme-ye Makke, ta’līf: Mohammad Rezā Tabātabā’ī Tabrīzī, be kūshesh-e Rasūl Ja‘farīyān, Qum, 1386/2007.



ამ ვილაიეთში სხვადასხვა ჯურის ხალხი ცხოვრობს. ერთი ნაწილი მომთაბარე მუსლიმია. ისინი თურქულად ლაპარაკობენ და მეცხოველეობას მისდევენ. მეორე ჯგუფს ქართველები და მეგრელები შეადგენენ და მათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა. სომხები და ებრაელები ვაჭრობით არიან დაკავებული. ძირითადად ვაჭრობას მისდევენ აქ მცხოვრები ირანის ქვეშევრდომებიც. მათი უმრავლესობა თეირანიდან, თავრიზიდან და რაშთიდან არის ჩამოსული და ჩაით, შაქრითა და აბრეშუმით ვაჭრობს. ოსმალოები მიწათმოქმედებით, სოფლის მეურნეობით, თამბაქოს გაყიდვითა და პურის ცხობით არიან დაკავებული. ბერძნები ქვისმთლელები და მაღაროელები არიან. აქ ფრანგები, იტალიელები და გერმანელებიც ცხოვრობენ, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ხალხებთან შედარებით ისინი უფრო ცოტანი არიან.



ოთხი წლის წინანდელი მონაცემებით თბილისში 40 000 კომლი ანუ 110 000 კაცი ცხოვრობს. ესენი არიან ირანელები, რუსები, ქრისტიანები, ქართველები და კიდევ სხვადასხვა რჯულის ხალხი. მუსლიმები და არამუსლიმები აქ შერეულად სახლობენ. მათი გარჩევა ძალიან ძნელია და ირანის ქვეშევრდომს ირანელი ვაჭრის სამოსით თუ იცნობ.



თბილისში შვიდი ქვეყნის კონსული ზის: ირანის, ოსმალეთის, ინგლისის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის.

(სპარსულიდან თარგმნა მ. ალექსიძემ)